ეან. შნ. №6.

იჯარის ხელშეკრულება 4.-.02.....2012.

ქ.თბილისი.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს ბაზრობა ..გაზაფხული'' დირექტორის. ივანე მეზვრიშვილის სახით (შემდგომში ..მეიჯარე'') რომელიც მოქმედებს მასზე მინიჭებული უფლების საფუძველზე და მეორეს მხრივ გოჩიჭა ნებიერი (შემდგომში ..მოიჯარე'') ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე: ხელშეკრულების საგანი

..მეიჯარე'' გადასცემს ხოლო. ..მოიჯარე'' იღებს მისგან მ.ს. ..სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფარიდან. იჯარით 50 კვ. მ. ფართის დროებით სარგებლობისათვის.

2. გადახდის პირობები

2.1 ..მოიჯარე'' უხდის ..მეიჯარეს''. იჯარის ღირებულებას 750 $ თვარი (ორას ლარში)

2.2 ქირის ღირებულების შეცვლა შეიძლება მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე. აგრეთვე საგადასახადო განაკვეთის ცვლილებასთან და ფართების ზრდასთან შესაბამისად :

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 ..მეიჯარე'' ვალდებულია :

ხელშეკრულების გაფორმების დღიდან გადასცეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართი. არ ჩაერიოს ..მოიჯარის'' კომერციულ საქმიანობაში;

3.2 ..მოიჯარე'' ვალდებულია :

დაემორჩილოს ..მეიჯარის'' დაქვემდებარებაში მდებარე ტერიტორიაზე არსებულ შინაგანაწესს იჯარით აღებული ფართი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ, მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო. უსაფრთხოების ტექნიკის. სანიტარული და შრომის პირობები;

3.3..მოიჯარე'' ვალდებულია ქირა გადაუხადოს ..მეიჯარეს'' არაუგვიანეს ყოველი თვის 4 რიცხვამდე.

3.4 ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტის დარღვევისათვის ..მოიჯარე'' ვალდებულია ..მეიჯარეს''გადაუხადოს ყოველ გადაცილებულ დღეზე იჯარის ღირებულების 0.1% .

3.5 თუ ხელშეკრულება გაგრძელდება 10 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ..მოიჯარე'' ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია მოახდინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თავისივე ხარჯით. ამ პუნქტის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა ეკისრება მოიჯარეს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ..მეიჯარე'' პასუხს არ აგებს ..მოიჯარის'' სახელმწიფო საბიუჯეტო ვალდებულებაზე. ხოლო ..მოიჯარე'' ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადი;

4.2 საიჯარო ფართში ..მოიჯარე'' თავისივე ხარჯით უზრუნველყოფს მუშაობის სწორად წარმართვას. დაკავებული ფართის მოვლა პატრონობას და დაცვას.

4.3 ..მოიჯარის'' მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად. მაგრამ ..მოიჯარე'' არ თავისუფლდება იმ ფინანსური ვალდებულებებისაგან რაც გააჩნია ..მეიჯარის'' მიმართ ან/და იმ ზიანის ანაზღაურებისაგან რომელიც მან მიაყენა ..მეიჯარეს'' ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევთ.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 ..მეიჯარე'' უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება;

5.2 ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ..მოიჯარე'' ვალდებულია ..მეიჯარის'' მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 14 დღის ვადაში დაცალოს და გადასცეს ..მეიჯარეს'' საიჯარო ფართი.

6. მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წ. 4-12 მდე. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად. თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს მისი მოშლის შესახებ.

"მეიჯარე"
შპს ბაზრობა "გაზაფხული"
მ/არაჯიშვილის მიმდ.ტერიტორია
ს/კ 200000480ანგ. ნომერი 467516
პროკრედიტ ბანკი გლდ.ფილიალი
დირექტორი
ივანე მეზვრიშვილი

"მოიჯარე"
შ.პ.ნ. "ეკატერინე სვანიძე"